

ჩანართი: ინფორმაცია პაციენტებისათვის

**დექსალგინი®
DEXALGIN®**

**25 მგ აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტები
დექსკეტოპროფენის ტრომეტამოლი**

ყურადღებით წაიკითხეთ ჩანართი, რადგან ის შეიცავს თქვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

მოცემული პრეპარატი გაიცემა რეცეპტის გარეშე. თუმცა, მკურნალობის საუკეთესო შედეგის მისაღწევად, დექსალგინი® უნდა მიიღოთ სიფრთხილის ზომების დაცვით.

- შეინახეთ მოცემული ჩანართი, რადგან შეიძლება მოგვიანებით დაგჭირდეთ მისი გადაკითხვა.
- დამატებითი ინფორმაციის ან რჩევის მისაღებად, მიმართეთ ფარმაცევტს.
- იმ შემთხვევაში, თუ სიმპტომები გაძლიერდა ან არ გაუმჯობესდა მდგომარეობა, უნდა მიმართოთ ექიმს.
- გვერდითი მოვლენების გაძლიერებისას, ან ისეთი გვერდითი მოქმედების გამოვლენისას, რომელიც არ არის აღნიშნული წინამდებარე ჩანართში, აცნობეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

ჩანართის შინაარსი:

1. პრეპარატ დექსალგინის® აღწერა და გამოყენება
2. რა უნდა ვიცოდეთ პრეპარატ დექსალგინის® მიღებამდე
3. პრეპარატ დექსალგინის® მიღების წესი
4. შესაძლო გვერდითი მოქმედება
5. პრეპარატ დექსალგინის® შენახვის პირობები
6. დამატებითი ინფორმაცია

1. პრეპარატ დექსალგინის® აღწერა და გამოყენება

დექსალგინი® - არის ტკივილგამაყუჩებელი საშუალება, რომელიც მიეკუთვნება სამკურნალო საშუალებების ჯგუფს სახელწოდებით “არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები (ასს)“.

ის გამოიყენება მსუბუქიდან საშუალო ხარისხის ინტენსივობის ტკივილის სამკურნალოდ, მაგალითად, კუნთების ტკივილის, მტკივნეული მენსტრუაციის (დისმენორეის), კბილის ტკივილის დროს.

2. რა უნდა ვიცოდეთ პრეპარატ დექსალგინის® მიღებამდე

პრეპარატ დექსალგინის® გამოყენება არ შეიძლება, თუ:

- თქვენ გაქვთ ალერგია (მომატებული მგრძობელობა) დექსკეტოპროფენის ტრომეტამოლის ან პრეპარატ დექსალგინის® სხვა კომპონენტების მიმართ (იხ. პარაგრაფი 6);
- თქვენ გაქვთ ალერგია აცეტილსალიცილის მჟავას (ასმ) ან სხვა არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებების მიმართ;
- ასპირინის ან სხვა არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებების მიღების შემდეგ თქვენ გქონდათ ასთმის შეტევები, მწვავე ალერგიული რინიტი (ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება ხანმოკლე დროის განმავლობაში), ცხვირის პოლიპები (ცხვირში შემუშება ალერგიის გამო), ჭინჭრის ციება (კანზე გამონაყარი), ანგიონევროზული შეშუპება (სახის, თვალების, ტუჩების ან ენის შეშუპება ან ქოშინი) ან ხიხინი გულ-მკერდში;
- თუ გაქვთ ან წარსულში გქონდათ წყლულოვანი დაავადება, სისხლდენა კუჭიდან ან ნაწლავებიდან ან საჭმლის მონელების ქრონიკული დარღვევა (მაგალითად, მოუნელებლობა, გულძმარვა);
- ტკივილის გამო არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებების (აასს) მიღებისას კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან განვითარებული სისხლდენა ან პერფორაცია;
- თქვენ გაქვთ ანთებითი ხასიათის ნაწლავების ქრონიკული დაავადება (კრონის დაავადება ან არასპეციფიური წყლულოვანი კოლიტი);
- თქვენ გაქვთ გულის გამონატული უკმარისობა, თირკმელების საშუალო ან მძიმე ხარისხის უკმარისობა ან ღვიძლის ფუნქციის მძიმე ხარისხის უკმარისობა;
- გაქვთ მომატებული სისხლდენა ან სისხლის შედედების დარღვევა;
- თქვენ ხართ ორსულად ან ბავშვს ძუძუთი კვებავთ;
- 18 წლამდე ასაკი.

განსაკუთრებული ზომები პრეპარატ დექსალგინის® გამოყენებისას შემდეგ შემთხვევაში:

- თუ გაქვთ ან წარსულში გქონდათ ალერგია;
- თუ გაქვთ ან წარსულში გქონდათ თირკმელების, ღვიძლის, გულის დაავადებები (არტერიული ჰიპერტონია ან/და გულის უკმარისობა), ორგანიზმში სითხის შეკავება;
- თქვენ იღებთ მარდმდენ საშუალებებს, გაქვთ გაუწყლოება და სისხლის მოცულობის შემცირება სითხის მნიშვნელოვანი დაკარგვის შედეგად (მაგალითად, შარდის გამოყოფის გაზრდის, დიარეის ან ღებინების გამო);
- გაქვთ გულის დაავადებები, გადატანილი გაქვთ ინსულტი ან თვლით, რომ ხართ აღნიშნული დაავადებების რისკის ჯგუფში (მაგალითად, მომატებული არტერიული წნევა, შაქრიანი დიაბეტი, ქოლესტერინის მომატებული დონე და თამბაქოს მოწევა). ასეთ შემთხვევებში მკურნალობასთან დაკავშირებით კონსულტაციისათვის მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს. პრეპარატ დექსალგინის® მსგავს საშუალებებს შეუძლია უმნიშვნელო ხარისხით ხელი შეუწყოს გულის შეტევის (მიოკარდიუმის ინფარქტის) ან ინსულტის განვითარებას. ნებისმიერი გართულების საშიშროება იზრდება დოზისა და თერაპიის ხანგრძლივობის გაზრდასთან ერთად. არ გადააჭარბოთ რეკომენდებულ დოზებს და მკურნალობის ხანგრძლივობას.

- თქვენ ხართ ხანდაზმული ასაკის ადამიანი. იზრდება გვერდითი მოქმედებების გამოვლენის საშიშროება (იხ. პარაგრაფი 4). ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს;
- თქვენ ხართ ქალი, რომელსაც აქვს ფერტილობის დარღვევა (პრეპარატ დექსალგინის® მიღების ფონზე შესაძლებელია ფერტილობის დაქვეითება, ამიტომ პრეპარატის მიღება რეკომენდებული არ არის ორსულობის დაგეგმვისას და შესაბამისი გამოკვლევების ჩატარებისას);
- თუ გაქვთ სისხლმბადი სისტემისა და სისხლის უჯრედების ფორმირების დარღვევა;
- თუ გაქვთ სისტემური წითელი მგლურა ან შერეული კოლაგენოზი (იმუნური სისტემის დარღვევები, რაც იწვევს შემაერთებელი ქსოვილის შეცვლას);
- თუ გადატანილი გაქვთ ანთებითი ხასიათის ნაწლავების ქრონიკული დაავადება (არასპეციფიური წყლულოვანი კოლიტი, კრონის დაავადება);
- თუ გაქვთ ან წარსულში გქონდათ კუჭ-ნაწლავის სხვა დაავადებები;
- თუ იღებთ სხვა სამკურნალო საშუალებებს, რომლებიც ზრდის წყლულოვანი დაავადების ან სისხლდენის განვითარების რისკს, მაგალითად, პერორალური სტეროიდული პრეპარატები, ზოგიერთი ანტიდეპრესანტი (სეროტონინის უკუმიტაცების სელექციური ინჰიბიტორების ტიპი), თრომბოციტების აგრეგაციის დამაქვეითებელი პრეპარატები (ასპირინი) ან ანტიკოაგულანტები (ვარფარინი). ამ შემთხვევაში დექსალგინის® მიღების დაწყებამდე კონსულტაციისათვის მიმართეთ ექიმს, რომელიც, შესაძლებელია, დაგინიშნავთ კუჭის დამცავ საშუალებას (მაგალითად, მიზოპროსტოლი ან კუჭის წვენის გამომუშავების დამთრგუნველი საშუალებები).

სხვა სამკურნალო საშუალებების მიღება

აცნობეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს, თუ იღებთ ან ახლო წარსულში იღებდით სხვა მედიკამენტებს, ურეცეპტო სტატუსის მქონე პრეპარატების ჩათვლით. არსებობს პრეპარატები, რომელთა კომბინირება არ შეიძლება, და არსებობს ისეთი პრეპარატები, რომელთა ერთდროულად მიღებისას საჭიროა დოზის კორექცია.

აუცილებლად აცნობეთ მკურნალ ექიმს, სტომატოლოგს ან ფარმაცევტს, თუ პრეპარატ დექსალგინთან® ერთად იღებთ რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ პრეპარატს.

რეკომენდებული არ არის შემდეგი საშუალებების კომბინირება პრეპარატ დექსალგინთან®:

- აცეტილსალიცილის მუავა (ასპირინი), კორტიკოსტეროიდები და სხვა ანთების საწინააღმდეგო საშუალებები;
- ვარფარინი, ჰეპარინი და სხვა საშუალებები, რომლებიც ხელს უშლის სისხლის კოაგულაციის წარმოქმნას;
- ლითიუმი, რომელიც გამოიყენება ხასიათის ზოგიერთი დარღვევის დროს;
- მეტოტრექსატი, რომელიც გამოიყენება რევმატიოიდული ართრიტის ან კიბოს დროს;
- ჰიდანტონინი და ფენიტონინი, რომელიც გამოიყენება ეპილეფსიის დროს;
- სულფამეტოქსაზოლი, რომელიც გამოიყენება ბაქტერიული ინფექციების დროს.

შემდეგი საშუალებების გამოყენება პრეპარატ დექსალგინთან® ერთად რეკომენდებულია სიფროთხილის ზომების დაცვით:

- აგფ ინჰიბიტორები, შარდმდენი საშუალებები, ბეტა-ბლოკერები და ანგიოტენზინ II რეცეპტორების ანტაგონისტები, რომლებიც გამოიყენება მომატებული არტერიული წნევის და გულის დაავადებების დროს;
- პენტოქსიფილინი და ოქსპენტიფილინი, რომლებიც გამოიყენება ვენების დაავადებებით განპირობებული ქრონიკული წყლულების დროს;
- ზიდოვუდინი, რომელიც გამოიყენება ვირუსული ინფექციების სამკურნალოდ;
- ანტიბიოტიკები-ამინოგლიკოზიდები, რომლებიც გამოიყენება ბაქტერიული ინფექციების დროს;
- ქლორპროპამიდი და გლიბენკლამიდი, რომლებიც გამოიყენება შაქრიანი დიაბეტის დროს.

შემდეგი საშუალებების გამოყენება პრეპარატ დექსალგინთან® ერთად უნდა იყოს კარგად დასაბუთებული:

- ქინოლონის რიგის ანტიბიოტიკები (მაგალითად, ციპროფლოქსაცინი, ლევოფლოქსაცინი), რომლებიც გამოიყენება ბაქტერიული ინფექციების დროს;
- ციკლოსპორინი ან ტაკროლიმუსი, რომლებიც გამოიყენება იმუნური სისტემის დაავადებების სამკურნალოდ და ორგანოების ტრანსპლანტაციის დროს;
- სტრუპტოკინაზა და სხვა თრომბოლიზური ან ფიბრინოლიზური საშუალებები, ესე იგი მედიკამენტები, რომლებიც გამოიყენება სისხლის კოაგულაციის დასაშლელად;
- პრობენეციდი, რომელიც გამოიყენება პოდაგრის დროს;
- დიგოქსინი, რომელიც გამოიყენება გულის ქრონიკული უკმარისობის დროს;
- მიფეპრისტონი, რომელიც გამოიყენება აბორტული საშუალების სახით (ორსულობის შეწყვეტისთვის);
- სეროტონინის უკუმიტაცების სელექციურ ინჰიბიტორების ტიპის ანტიდეპრესანტები;
- ანთიაგრეგანტები, რომლებიც გამოიყენება თრომბოციტების აგრეგაციის და სისხლის კოაგულაციის წარმოქმნის შესამცირებლად.

სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად პრეპარატ დექსალგინის® გამოყენების შესახებ დამატებითი კითხვების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

პრეპარატ დექსალგინის® საკვებთან და სასმელთან მიღება

ტაბლეტები მიიღეთ საკმარისი რაოდენობის წყალთან ერთად. ტაბლეტები მიიღეთ ჭამის დროს, რადგან ეს ამცირებს კუჭის მხრივ გვერდითი მოქმედებების ალბათობას. მაგრამ მწვავე ტკივილის დროს ტაბლეტები უნდა მიიღოთ მშვიდ კუჭზე საკვების მიღებამდე სულ მცირე 30 წუთით ადრე, რადგან ამ შემთხვევაში პრეპარატი მოქმედებს უფრო სწრაფად.

ბავშვები და მოზარდები

პრეპარატ დექსალგინის® მიღება 18 წლამდე ასაკის პაციენტებში უკუნაჩვენებია.

ორსულობა და ძუძუთი კვება

ორსულობისა და ძუძუთი კვების დროს პრეპარატ დექსალგინის® მიღება უკუნაჩვენებია. ნებისმიერი პრეპარატის მიღების წინ რჩევისთვის მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს:

- აცნობეთ ექიმს თუ ხართ ორსულად ან გეგმათ ორსულობას: შესაძლებელია, დექსალგინი® თქვენთვის არ იყოს შესაფერისი;
- ძუძუთი კვების დროს დექსალგინის® მიღება არ შეიძლება. კონსულტაციისათვის მიმართეთ ექიმს.

ზემოქმედება სატრანსპორტო საშუალებების მართვის და მექანიზმებთან მუშაობის უნარზე

პრეპარატ დექსალგინის® მიღების ფონზე შეიძლება განვითარდეს ისეთი გვერდითი მოქმედებები, როგორცაა თავბრუსხვევა და ძილიანობა, ამიტომ ის გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს სატრანსპორტო საშუალებების მართვისა და მექანიზმებთან მუშაობის უნარზე. თავბრუსხვევის და ძილიანობის გამოვლენისას აღნიშნული სიმპტომების გაქრობამდე თავი შეიკავეთ სატრანსპორტო საშუალებებისა და მექანიზმების მართვისგან. კონსულტაციისათვის მიმართეთ ექიმს.

3. პრეპარატ დექსალგინის® მიღების წესი

პრეპარატი დექსალგინი® მიიღება მკურნალი ექიმის მითითების ზუსტად დაცვით. დამატებითი კითხვების გაჩენის შემთხვევაში, კონსულტაციისთვის მიმართეთ ექიმს.

პრეპარატ დექსალგინის® თქვენთვის საჭირო დოზა დამოკიდებულია ტკივილის ტიპზე, სიმძიმესა და ხანგრძლივობაზე.

ექიმი მოგცემთ რჩევას თუ რამდენი ტაბლეტი უნდა მიიღოთ დღე-ღამეში და რა პერიოდის განმავლობაში დაგჭირდებათ პრეპარატის მიღება.

ჩვეულებრივ რეკომენდებულია თითო ტაბლეტის (25 მგ) მიღება ყოველ 8 საათში, მაგრამ არა უმეტეს 3 ტაბლეტისა (75 მგ) დღე-ღამეში.

თუ ხართ ხანდაზმული ასაკის ადამიანი ან გაქვთ თირკმელების ან ღვიძლის დაავადებები, მკურნალობის დაწყება საჭიროა არა უმეტეს 2 ტაბლეტისა (50 მგ) საერთო სადღეღამისო დოზით.

ხანდაზმულ პაციენტებში პრეპარატის კარგი ამტანობის შემთხვევაში საწყისი დოზა შემდგომში შეიძლება გაზრდილ იქნას ჩვეულებრივი პაციენტებისათვის რეკომენდებულ დოზამდე (75 მგ).

თუ გაწუხებთ მწვავე ტკივილი და გსურთ ამ ტკივილის სწრაფი შემსუბუქება, მიიღეთ ტაბლეტები მშვიერ კუჭზე (საკვების მიღებამდე სულ მცირე 30 წუთით ადრე), რადგან ამ შემთხვევაში ის უფრო სწრაფად შეიწოვება (იხ. პარაგრაფი 2 “პრეპარატ დექსალგინის® საკვებთან და სასმელთან მიღება“).

პრეპარატ დექსალგინის® დოზის გადაჭარბების შემთხვევაში

პრეპარატის დოზის გადაჭარბების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, ფარმაცევტს ან უახლოესი საავადმყოფოს მიმღებ განყოფილებას. თან იქონიეთ მოცემული პრეპარატის შეფუთვა ან ეს ჩანართი.

დექსალგინის® ღოზის გამოტოვების შემთხვევაში

არ მიიღოთ ორმაგი ღოზა შემდეგ მიღებაზე. მიიღეთ დანიშნული ღოზა დანიშნულ დროს (პარაგრაფი 3 “დექსალგინის® მიღების წესი“-ს შესაბამისად).

პრეპარატის მიღებასთან დაკავშირებით კითხვების გაჩენის შემთხვევაში მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

4. შესაძლო გვერდითი მოქმედება

როგორც ნებისმიერ სამკურნალო საშუალებას, პრეპარატ დექსალგინსაც® აქვს გვერდითი მოქმედება, თუმცა ის არ ვლინდება ყველა პაციენტში.

ქვემოთ მითითებულია შესაძლო გვერდითი მოქმედება მათი გამოვლენის სიხშირის მიხედვით. ცხრილში მითითებულია სიხშირის შემდეგი მონაცემები:

ხშირად	10-დან 1 ადამიანიდან 100-დან 1 ადამიანამდე
ზოგჯერ	100-დან 1 ადამიანიდან 1000-დან 1 ადამიანამდე
იშვიათად	1000-დან 1 ადამიანიდან 10000-დან 1 ადამიანამდე
ძალიან იშვიათად	10000 ადამიანიდან 1-ზე ნაკლებს ერთეული ცნობების გათვალისწინებით

ხშირად განვითარებული გვერდითი მოქმედება:

გულისრევა ან/და ღებინება, ტკივილი კუჭის არეში, დიარეა, საჭმლის მონელების დარღვევა (დისპეფსია).

ზოგჯერ განვითარებული გვერდითი მოქმედება:

ტრიალის შეგრძნება (ვერტიგო), თავბრუსხვევა, ძილიანობა, ძილის დარღვევა, ნერვოზულობა, თავის ტკივილები, გულისცემის გახშირება, წამოხურება, დარღვევები კუჭის მხრივ, შეკრულობა, პირის სიმშრალე, მეტეორიზმი, კანზე გამონაყარი, დაღლილობა, ტკივილი, ციების შეგრძნება და კანკალი, ზოგადად ცუდად ყოფნის შეგრძნება (შეუძლოდ ყოფნა).

იშვიათად განვითარებული გვერდითი მოქმედება:

წყლულოვანი დაავადება, სისხლდენა ან პერფორაცია, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს სისხლიანი ღებინების ან შავი განავლის სახით, გულყრა, მომატებული არტერიული წნევა, სუნთქვის გაძნელება, სითხის შეკავება და პერიფერიული შეშუპება (მაგალითად კოჭის არის შეშუპება), ხორხის შეშუპება, მადის დაკარგვა (ანორექსია), უცხო შეგრძნებები, გამონაყარი ქავილით, აკნე, მომატებული ოფლდენა, ტკივილი ზურგის არეში, გახშირებული შარდვა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, წინამდებარე ჯირკვლის ფუნქციის დარღვევა, ღვიძლის სინჯების გადახრა (სისხლის ანალიზში), ღვიძლის უჯრედების დაზიანება (ჰეპატიტი), თირკმლის მწვავე უკმარისობა.

ძალიან იშვიათად განვითარებული გვერდითი მოქმედება:

ანაფილაქსიური რეაქციები (მომატებული მგრძნობელობის რეაქციები შოკამდე), კანზე, პირის, თვალებისა და სასქესო ორგანოების ლორწოვან გარსებზე მოუშუშებელი ჭრილობები (სტივენს-ჯონსონის სინდრომი და ლაიელის სინდრომი), სახის ან ტუჩების

და ხახის შეშუპება (ანგიონევროზული შეშუპება), სუნთქვის გაძნელება ბრონქული კედლის კუნთების შეკუმშვის შედეგად (ბრონქოსპაზმი), ქოშინი, გახშირებული გულისცემა, არტერიული წნევის დაქვეითება, კუჭქვეშა ჯირკვლის ანთება, არამკვეთრი მხედველობა, შუილი ყურებში, კანის მომატებული მგრძობელობა, მგრძობელობა სინათლის მიმართ, ქავილი, დარღვევები თირკმელების მხრივ. სისხლის თეთრი სხეულაკების რიცხვის შემცირება (ნეიტროპენია), სისხლის ფირფიტების რიცხვის შემცირება (თრომბოციტოპენია).

დაუყოვნებლივ აცნობეთ ექიმს მკურნალობის დასაწყისში კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მხრივ გვერდითი მოქმედების გამოვლენის შესახებ (მაგალითად, კუჭის ტკივილი, გულძმარვა ან სისხლდენა), თუ უკვე გქონდათ აღნიშნული სიმპტომები ანთების საწინააღმდეგო საშუალებების ხანგრძლივი გამოყენებისას, განსაკუთრებით, ხანდაზმული ასაკის შემთხვევაში.

კანზე გამონაყარის გამოვლენის, ლორწოვანი გარსის ნებისმიერი სხვა დაზიანების (მაგალითად, პირის ღრუში) ან ალერგიის ნიშნების შემთხვევაში პრეპარატ დექსალგინის® მიღება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს.

არსებული მონაცემებით არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებების მიღებისას შესაძლებელია შეშუპების განვითარება (განსაკუთრებით, ფეხებზე) ორგანიზმში სითხის შეკავების შედეგად, არტერიული წნევის მომატება და გულის უკმარისობა.

ისეთ სამკურნალო საშუალებებს, როგორცაა პრეპარატი დექსალგინი®, შეუძლია ოდნავ გაზარდოს გულის შეტევის (მიოკარდიუმის ინფარქტის) ან ინსულტის რისკი.

პაციენტებში სისტემური წითელი მგლურით ან იმუნური სისტემის დარღვევებით (იმუნური სისტემის დარღვევები, რომლებიც იწვევს ცვლილებებს შემაერთებელ ქსოვილში), ანთების საწინააღმდეგო საშუალებების მიღების ფონზე შეიძლება გამოვლინდეს, თუმცა იშვითად, ციება, თავის ტკივილი და კისრის გაკავების შეგრძნება.

გვერდითი მოვლენების გაძლიერებისას, ან ისეთი გვერდითი მოქმედების გამოვლენისას, რომელიც არ არის აღნიშნული წინამდებარე ჩანართში, აცნობეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

5. პრეპარატ დექსალგინის® შენახვის პირობები

პრეპარატი შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

დექსალგინი® არ გამოიყენება ვარგისობის ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც მითითებულია დასაკეც მუყაოს კოლოფზე და ბლისტერზე. ვარგისობის ვადის გასვლის თარიღი გულისხმობს მითითებული თვის ბოლო დღეს.

პრეპარატი შეინახეთ არა უმეტეს 30°C ტემპერატურის პირობებში. სინათლის ზემოქმედებისაგან დასაცავათ ბლისტერული შეფუთვა შეინახეთ მეორეულ შეფუთვაში (დასაკეც მუყაოს კოლოფში).

6. დამატებითი ინფორმაცია:

პრეპარატ დექსალგინის® ერთი ტაბლეტის შემადგენლობა

პრეპარატის მოქმედი ნივთიერება - დექსკეტოპროფენის ტრომეტამოლი (36,90 მგ), დექსკეტოპროფენი (საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება) 25 მგ-ზე გაანგარიშებით.

დამხმარე ნივთიერებები: სიმინდის სახამებელი, მიკროკრისტალური ცელულოზა, სახამებლის გლიკოლატის ნატრიუმის მარილი, გლიცერინის დისტეარატი, ჰიპრომელოზა, ტიტანის დიოქსიდი, პროპილენგლიკოლი, მაკროგოლი 6000.

გაცემის წესი: ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

პრეპარატ დექსალგინის® აღწერა და გამოშვების ფორმა

დექსალგინი® - თეთრი ორმხრივამოხუნეჭილი აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტები, ხაზით ორივე მხარეს.

ტაბლეტები შეფუთულია ბლისტერის შეფუთვაში (პკ/ალუმინი).

დექსალგინი® ბაზარზე წარმოდგენილია შეფუთვებში 4, 10, 20, 30, 50 ან 500 აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტი.

სარეგისტრაციო მოწმობის მფლობელი და მწარმოებელი

სარეგისტრაციო მოწმობის მფლობელი

მენარინი ინტერნეშნლ ოპერეშენზ ლუქსემბურგი ს.ა.

დე ლა გარეს გამზირი 1

1611 ლუქსემბურგი

მწარმოებელი

ლაბორატორიოს მენარინი ს.ა.,

ალფონსო XII ქუჩა, 587

08918 ბადალონა

ბარსელონა, ესპანეთი

ან

ა. მენარინი მენუფექჩერინგ ლოჯისტიკს ენდ სერვისიზ ს.რ.ლ.

ვია კამპო დი პილე

ლ'აკვილა, იტალია

უფლებამოსილი წარმომადგენელი

ბერლინ-ხემი აბ (მენარინი ბრშპ)

გლინიკერ ვეგ 125

12489 ბერლინი, გერმანია

მოცემული ჩანართის ბოლო დამტკიცების თარიღი: 11.2010 წ.

ხელმოწერილია, ბეჭედდასმულია